



ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გარდა 1-7-მდე, საღამოს 5-7-მდე.

განცხადებანი უფასო: 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ელბრება 5 მანეთი.

ახალი კლუბის ბაღში

დღეს, 21 ივნისი, 1915 წ.

ქართულთა შორის წარმატებით გახდეს მათი საზოგადოების სახარებად, ახალი კლუბის ბაღში გაიხატება

დიდი სახალხო სეირნობა ლაგარია-ალეგრიით

(წმ. შენოსავლის 10 პრეტ. გადაიდება წმ. ნინოს ლაგარიის სახარებლად). გახდეს მათი საზოგადოების სახარებად, ახალი კლუბის ბაღში გაიხატება

დღევანდელ ნომერში ნ გვერდია

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევიანდ ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი.

ახალი კლუბი

- ორსაბათის ხინმატოგრაფი, სიანის შემდეგ დაუკრავს სიმებიანი სრული ორკესტრი.
- სამშაბათი. სიმფონიური კონცერტი, კონცერტის შემდეგ ბალში დაუკრავს პატარა ორკესტრი.
- ოთხშაბათი. ხინმატოგრაფი. სიანის შემდეგ ბალში დაუკრავს სიმებიანი დიდი ორკესტრი.
- ხუთშაბათი. ქართული წარმოდგენა, წარმოდგენის შემდეგ ბალში დაუკრავს მინდორის სრული ორკესტრი.
- პარასკევი შაბათი. სინმატოგრაფი, სიანის შემდეგ დიდი ორკესტრი ბალში. სიმფონიური კონცერტი. მინაწილებას მიიღებს მინდორალი ი. პ. სარაჯიშვილი.
- კვირა. საბავშვო საღამო-სეირნობა. გაიმართება სინმატოგრაფი და ცეკვა. დაუკრავს სახელო მუსიკა. სეირნობის შემდეგ გაიმართება ჩვეულებრივი სინმატოგრაფი. ბალში სამხედრო მუსიკა.

პირველხარისხოვანი

„კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1. მამა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დღის 9 საათიდან 12 საათამდე. საღამო 1-6 საათამდე. საღამო 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენი ბუფეტის საშუალებები: ხაჩაპური, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხალის წყალო, ცხელი „პიროცკები“. თვითრად მოსადილე შეღავათი ეძლევათ. საღამოს 8-9 საათებში ოჯახებშიც. სასადილო ღია დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.

თბილისი, 21 ივნისი.

დღევანდელი მომენტი და ერობის საკითხი ჩვენში. ბევრი ჩვენში საპირბოროტო საკითხი. ბევრი ვართ ჩვენ გამოკლებული უფლების მხრივ რუსეთის მკვიდრ ერისაგან, მაგრამ ერთი უპირველესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში უჭირავს ერობისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას.

დოქტორი გეორგი

ალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კანტორა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კანტორა კორპუსის ავარკში.

ქილის ექიმი ნინო რეხვიანი

იღებს ავადმყოფებს დღითი 9-2 ს. და ს. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კორპორი შესასრულები 21.

ქიმი ნ. მ. კლიმიშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აფთაქთან

და თითქმის გლეხს განსაკუთრებული სიმძიმით დააწვა თავს. საერთაშორისო ომმა ოჯახს გამოსტაცა პირიქნები ხე-ღვინა, უბატონოდ გაუშვა წვილი ცოლ-შვილი და უნუგეზოდ დასტოვა მოხუცი მშობლები, მუშა შვილის შემყურები. მან დაასახინა სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდა და ოჯახს ზედმეტ ტვირთად დააქისრა ვინც უბედურებას გადაურჩა, შიმშილობამ და ათასმა სხეულმა ოჯახი გაუნიავა. ყველა ამას სათითაოდ უნდა დახმარება. ყველა ამას ესაქიროება სპეციალურად გაგება, შესწავლა და სახრის აღმოჩენა. შესძლებს განა ამას დღეს ადგილობრივი ადმინისტრაციაც? სამწუხაროდ, რაც უნდა მაღალი იდგეს იგი, ვერასოდეს ამას ვერ შესძლებს, რადგან მას თავისი პირადი დანიშნულება დიდი აწვევს და მთელი ძალ-ღონე მას რომ მოაწოდოს, მაინც იმდენია და რთული წმინდა ადმინისტრაციული მოთხოვნები—მშვილობიანობის დაცვა და აღმასრულებელი როლის ტვირთი, რომ მარტო ამასაც ძლიერ გაუძლებს, თორემ ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლის, დახმარების და განვითარება-წარმატებისათვის არც დრო და არც საშუალება აქვს. ეს რომ ლითონი სიტყვები არ არის მხოლოდ, და-გასახელებ იმ დარგებს, რა დარგებშია მოუხდებოდა ადმინისტრაციის მუდმივი მუშაობა და სპეციალისტების ყოლა.

საერთო დაწესებულება განაგებს შემდეგ საქმეებს: 1) უფლის და პატრონობის ყოველგვარ ქონებას, თანხას და ერობის მიერ გარდახდილ ფულს; 2) აკეთებს და უფლის შენობებს, რომელიც ერობას ეკუთვნის, აგრეთვე სხვა ნაშენობასა და იმ გზებს, რომელიც ერობის ხარჯით ინახება; 3) ჰზრუნავს, რომ ხალხს სარჩო არ შემოაკლდეს და გამოკვების სასარი არ მოეხსნოს; 4) განაგებს ერობის ყოველ საქველმოქმედო და საამხანაგო დაწესებულებას და ჰზრუნავს სხვაგვარ საშუალებების მოძიებას და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ერობის საზოგადოებისა და მისი პრაქტიკული დახმარება.

ახალ საზოგადოებათა და გააცხოველა მოქმედება არსებულის, მაგრამ მიმართული საზოგადოებებისა, რომელთაც ხალხის კეთილდღეობა ჰქონდათ დასახული და მისი პრაქტიკული დახმარება. ათასი კომიტეტებისა და ათასი საქველმოქმედო საზოგადოების დახმარება ნიშნა იმისა, რომ ერობის შემოღების საქმე არა თუ მომწიფებულია ჩვენში, არამედ მეტად მწუხარებელია თხოვლობის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ქვეყანა, როგორც განაპირა მხარე, არ არის იმდენად საიმედო, რომ ერობის ღირსი ყოფილიყოს, ასეთმა მოსაზრებამ ყოველგვარ ნიადაგი დაჰკარგა მას შემდეგ, როცა მოგვლა კაცკასის გრებმა, როგორც ერთმა კაცმა, უკიდურესი თავგანწირულობა და ერთგულება გამოიჩინეს რუსეთისადმი. საკმაო გადაავლოთ თვალი ომის მართან, რომ იგი ცხადი გახდეს. თითქმის ყოველმა ქართველმა ჯარისკაცმა, ქართველმა აფიცრმა გმირობა გამოიჩინა. საკმაო იმითი რიცხვის აღნუსხვა, რომელთაც უწარჩინებულესი ჯილდოები მიიღეს, რომ პროცენტის მხრივ ჩვენი ღვაწლი რუსეთისადმი გადააპარებებს თვით მკვიდრთა ამბავსაც კი. საოცარი ერთსულოვანი ვალაშქრება მტრის წინააღმდეგ ყველა კაცკასის ერებისა და მათი ჯარების განსაკუთრებული მამაცობა და გმირობა ვალიცაში და ავგუსტოვოსთან კიდევ და კიდევ ღალატებს, რომ სირცხვილით და მოკრძალებით უნდა დაიწვენი ისინი, ვისაც ასეთი გმირების და თავდადებულებისამშობლოსთვის ერობის შემოღება დაენანებათ, ან ამის წინააღმდეგ ხმას ამოიღებენ. ჩვენ გვწუხებს, რომ ასეთების რიცხვი დღეს მაინც მცირე იქნება. იმ დროს როცა თვით პურიშველი-მარკოვიც კი თხოვლობებს გარეშე ერთა უფლებების გაფართოებას, ჩვენში ერობის შემოღებას დიდი მოწინააღმდეგეები არ ეყოლებიან.

მაგრამ საქმე არც ისე უბრალოა, რომ ფიანდაზით მოგვართვან. რაც უნდა მართალი ვიყოთ, საკმაო მობილიზაცია მთელი ძალეებისა, საჭიროა ყველა ჩვენი გამჭრიახი და ნიჭიერი და საზოგადო მოღვაწეების ამოქმედება. ეხლა სწორედ დროა და პირობებიც ხელს გვიწყობს და ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება სწორედ მომავლიდნებელი ცოდვა იქნებოდა და მართლაც დაამტკიცებდა იმ აზრს, რომ ჩვენ არ ვართ მომწიფებული ასეთი საჭირო ინსტიტუტის შემოღებისათვის.



სოლოლაკში

უფასო შრომა

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე

წვრილი აგვები

მეფე-შოფერი.

ბელგიის მეფეს ალბერტს როგორც შინ ისე გარედ და მოგზაურობის დროს მეტის მეტად სადა ცხოვრება უყვარს.

ერთხელ შვეიცარიაში მოგზაურობის დროს მეფეს არაჩვეულებრივი ამბავი შეემთხვა.

მეფე თავის დედოფალთან ერთად ავტომობილით მისიერობდა. ავტომობილზე შოფერობას ეწეოდა. ერთ მალაზიის ახლოს დედოფალმა სთხოვა მეფეს ავტომობილი შეეჩერებინა. მეფემაც შე-

ჩერა. გადმოხტა დედოფალი და მალაზიაში რაღაც საყიდლებსთვის შევიდა. მეფე კი გარედ უცდიდა. ამ დროს მალაზიიდან გამოვიდა ერთი ქალი. დაინახა ავტომობილი, ჩაჯდა შიგნით და უბრუნდა მავან ქუჩაზე წამიყვანეო. რა იცოდა ქალმა, რომ მეფეს უბრძანებდა. მეფემაც მორჩილად შეასრულა ქალის ბრძანება და წაიყვანა.

გამოვიდა დედოფალი მალაზიიდან და და თვისი მეუღლე ავტომობილით ველიარ ნახა. რამდენიმე წუთი შემდეგ მეფე დაბრუნდა და ცოლ-ქმართ ბევრი იცინეს, როცა მეფემ გასამარჯელო ქირა დედოფალს უჩვენა.

თურმე ინდოელები დღევანდელ ომში ისრის მავარს იარაღს ხმარობენ. პირი მეტად მჭრელი აქვს და რამდენიმე ოციოდე საყენზე ისვრიან. მსუბუქად და მოხერხებულად ისვრიან. ხეში ორი დიუმი სიღრმეს ატანს. დიქსმიუდს ბრძოლაში ამისთანა იარაღით, როგორც ამბობენ, 2000 გერმანელი მოუკლავთ.

მეორე სხვა ჯურის იარაღი ინდოელებს რაღაც დანა ჰქონიათ, რომელსაც თურმე სისხლის გამოსაშვებად ხმარობენ და მაშინ ამოიღებენ ჯიბიდან, როცა უეჭველად სისხლი უნდა დაიღვაროს. არავის უჩვენებენ და თუ ვინმე ცნობის

მოყვარე გამოჩნდა და დანის ნახვა მოისურვა, უეჭველად უნდა დაისვროს. საფრანგეთში ხომ ცნობის მოყვარე ხალხია! ნამეტნავად—ქალები! მრავალი ქალი დაინტერესებულა ამ დანის გამო. და აკი ამის ვულისთვის მრავალსაც გაუჭრეინებია ხელი! ასე რომ დღეს პარიზის თუ სხვა ქალაქის ქუჩაზე, მრავალ ქალს ნახავთ ხელშეხვეულს!

ზოგიერთ მტრისგან ნასროლი ყუმბარა თურმე არ სქდება. ამის მიზეზი ან თვით მიწის სიფხვიერება, ან და ყუმბარა მეტად მაგრად არის გაკეთებული. ასეთი ყუმბარა მიწაში თხრილს აკეთებს

და შემდეგ თუ მოარტყეს რაიმე, უეჭველად იფეთქებს და ზარალს იძლევა. ეს შენიშვნის საფრანგეთის ჯარისკაცებმა და ყუმბარისგან გაკეთებულს თხრილს ძალიან ერიდებიან.

ფიქრობენ, რომ მიწაში ჩაფლული ამგვარი ყუმბარა, შემდეგშიც სახიფათო და საზარალოა, როცა ომი გათავდება და გლეხები მიწიდან გუთნებს გამოიტანენ. შეიძლება სახისი წამოედოს და იფეთქოს.

მიწაში ჩაფლულ ყუმბარების ზრუნვას უკვე შეუდგენ და სადაც კი ჰნახავენ, პატრუქით აფეთქებენ.

მტერთან ვიბრძოდი, მომიწყვედი თითქმის შუაში ჩემი მერანი საითაც კი გამაქანავდა, ხან ჩემი ხმალი და ხან ლახტი მუსრსა ავლებდა! როგორც მუსკაი სცელავს ხოლმე მინდვრად ბალახსა, ისე მახვილით მტერს ვცელავდი; ოაზმიდან რაზმზე გადავდიოდი და სიკვდილი შექმნიდა მათში და შეხსა ძალას შემოსულყო ვაგრძობინებდი. ერთი მხედარი ჩემს პირდაპირ გამოეჭინა, ვგრძობიდი, რომ მასთან ხუმრობა არ გამოდგებოდა. თორნი მისი ფრუტუნებდა და მძლავრის ჩლიქით მტვერს აყენებდა— შესწიხვინა ჩემმა მერანამაც. მოპირდაპირეს გაუჭროლა ელვის სისწრაფით და შედგა ყალბზე! ჩემწინ იდგა იგი მხედარიც. ასწია ხმალი, ის კი იყო უნდა დაეკრა, რომ ამ დროს ჩემმა ხმალი იმას თავი მოჰკვეთა და ძირს გაგორდა, შემდეგ იგიც დაბლა დაემხო, მისი მერანი კი დაჭრილია მტერით ბანაკში და აცხოვრებდა, რომ ბატონი ათარა ჰყავდათ. შეექმნათ ძრწოლა, ერთმანეთში მთლად აირივნენ, შეხი დროსა კი ფრილებდა ამ დროს ჰაერში და შეხს დიდებას ულოცავდა ყველა მოყვარეს, და ოდეს უკვე მტერი მყავდა დაბარცხებული, ვნახე, რომ ძმები გამარჯვებას მხიარულობდნენ.

ქართლო. (მშვიდად. შემდეგ ეტყობა აღდეგება) მე როს მარცხენა მხრისკენ წავიდა, გახთიადისას მალალ მთებიდან მტერს ჩაუხვდი, მათი რაზმები შუა გაფრევიტე, გული მათი დაეაფლურე. ცხარე ბრძოლაში გადამტრება სამი ლხვარი და სამი ფარი დამემსხვრა მტრის შუბებისგან. ერთი მსუბუქი კრილობაცა მივიღე მკლავში, მაგრამ მე მანაც მხედ ვიბრძოდი და შეუპოვარად, რადგან ვიციოდი, რომ ეს ბრძოლა შენ ბედსა გწვედა და დამარჯობდა სათაყვანო თავისუფალი. რაც მოგახსენა ეხლა კახომ, ვითომ ბრძოლაში მაშინ გადავიღე, როცა იყვენ დაბარცხებულნი, ეგ მისგან თქმელი სიმართლეს არ შეეფერება! —

იმერო. (დამშვიდებული სიცილით) არ გეკადრებთ, ყველაფერი თქვენ მითითალოთ თქვენ თქვენსას ამბობთ და მე ვითომც რა გავაკეთე? რად დაგვიწყდათ, რომ თვით იგი გეგმა ბრძოლისა, რომლით წილად გვხვდა გამარჯვება, მე შევადგინე? მაგრამ აქ კვებნა ზედმეტია და, თვითონ იციო. რომ მე თუ მტერსა უკახიდან ზარს არ დავსცემდი და არ მოვსრავდი ჩემის ჯარით ნახევარ მტერსა, გამარჯვებულნი ასე რიგად არც იქმნებოდით! მე არ მოვუკალ ლომა რაინდს ბღვერა სარდალი, რომლის სიკვდილზე შიშით შეკრთა მთელი ლაშქარი, ხოლო ჩვენ კი წათამამდა, გული მოეცა?

კახო. შენ ამბობ, ვითომც აქ საჭირო არ იყო კვებნა, მაგრამ ვინც იყვენს, სხვამ თუ არა, მე მისივე ვიცი! ის შენ არა ხარ, რომ გავისხტოდა ლომა-რაინდი და მხოლოდ მტერს მიჰყავ ხელი?

(იმერო უხერხულმანს იგრძნობს. გაწითლდება) **ქართლო.** მართალს არ ამბობ! ლომა-რაინდი შენ გავისხტა და არა მაგას! ეგ რომ გირჩევდა, გადულობდ მთის ბილიკიო, რაც იჯიუტე, რატომ უშალ არ გადულობე? ძმების წინაშე თვითნებობა გამოჩინე

კახო. (გაბრაზებული) ოჰო, ეხლა მე არ მამბრალენს! თვითონ კი უნდა გადაეღობნა! — მე მარტოკაც გავიმარჯვებდი!

ქართლო. სიცრუე არის! შენ უჩვენოდ რას გააწყობდი? **იმერო.** ჩვენო რაინდნო! ვით შეგფერით ეგრე ბაასი? ეგ საუბარი მე გულსა მტკენს და თქვენ შორისაც შურსა და მტრობას დაამკვიდრებს— თქვენ სამთა გედლობთ

საშვილიშვილო, ესდენ დიად გამარჯვებისთვის აქ თქვენ სამთავრს ერთხანოი დევილი მოგიძლით, ამას შორიდან კარგად ვხედავ თქვენი მიჯნური! (იმერო კახოს ლაპარაკით გაიხიზნა გარედ).

ქართლო. (გრძნობა აჩქოვებული ფილით ხელში) მსურს განუწყვეტლად შენ გიპირო, მხერით ვსტკებობდი,

რომ ჩემმა ხელმა მითხრას! აჰა, ის შენთან არის, ის, შენი მარად, ერთადერთი შენი ღვთაება! (ფილას სვამს)

გრძნობა-აზრისთვის სანატრულო, ჩემო სიცოცხლე! როს ბრძოლის ველზე აქ მარჯვნივ მტრის რაზმს ვამხობდი, და მით შემქონდა მთელ ბანაკში შიში და ზარი, იმ ჟამად ერთი იმედი მასულდგმულგბდა, რომ უსიკვდილოდ ვანჯერვდა და შეხსა რაინდს იმავე მარჯვნივ შენი თავი მკერდზე მიმიყრდნო, მკერდზე მიმიყრდნო მხოლოდ ჩემი!

(მხურვალედ ჰკოცნის) **ივერიკო.** ძვირფასო ქართლო!

(ამ ხნის განმავლობაში თითქმის მოქმედების დასრულებამდე ისმის მეტად წყნარი სიმღერა. საცეკვაო მუსიკა. ქალ ვაენი როკებს. შემდეგი მოქმედება ერთად უნდა ახვევებდეს მხიარულ ზეიმს და მწუხარება-ხალცილს.)
შენი ზღვა გული უცნაურად მესაუბრება და მისი ტალღა დამტრიალებს აღმფრთხილებული. განა, ძვირფასო, რა ცვლილება მოხდა შენს გულში, რომე ჩამძახი: **მხოლოდ ჩემი!** დაბეჯითებით! ეგრევე ვარ შენი ვით კახოსი, ან იმეროსი!

ქართლო. მე უკვე ვიცი ჩემი ძმების გულის ზახვანი— ამას უწინაც გრძნობის თვლით კარგად ვხედავდი და დღეს დაგრწმუნდი, შენს წინაშე ქებას რომ მოჰყენენ. არა! შენ ტურთა მხოლოდ ჩემი უნდა შეიქმნე, მე უნდა მომცე შენი სიკბრთა, შენი გვირგვინი და ჩემი ძმები თანაშემწედ გადამიტყვიო, ან და მოეღოს ჩემის ლახვრით ორივეს ბოლო!

ივერიკო. (შემერთალი). ო, ქართლო, ქართლო! ვით იზრახე მაგას შენს გულში? შიშით მაძრწუნებს შენი სიტყვა და შენი აზრი!

თქვენ სამნი ძმანი წარმოადგენთ მხოლოდ ერთ სხეულს და ამ სხეულის სული მე ვარ და, აბა, მითხარ, **ერთსხეულს** რომელ ნაწილს წარკვეთ, რომ არ მეტკინოს და ერთი სრული მშვენიერება არ დამახინჯდეს?

ქართლო. შენ თუ არ დამრთავ ამის ნებას, თვითნებთ ვიხამ, რადგან ვგრძნობ წინად რაც მოჰხდება იმ ორ ძმისაგან. ოდეს ბრძოლიდან ვბრუნდებოდი, კახო მაშინაც არ ისვენებდა, ბუზღუნებდა, მიზეზს ეძებდა, რომ იქვე რამე აეტენა, მაგრამ იმერომ უგრძნო პირველმა და მირჩია ხმის დაზავება. ის არ დამინდობს...

ივერიკო. სამწუხაროა ეგ მოვლენა და აწ გულსა მტკენს. ჩემო მიჯნურო, ნუ იხებებ იგი აღსრულდეს, რაც მისანა მითხარა წყლან—ო, მაშინ ვაი! რად უნდა გქონდეთ ერთმანეთში შური და მტრობა და მე რად უნდა მომახყნოთ მძინე წამებმა, როცა ჩემ ყველას შეტკბობილია ბედი გვიღიმი?

ქართლო. ვიდრე ცოცხლვარ, რომელს ძალუძს წამება გიძღვას? მტლად დაგედები და შენ კი გზას მოგიერთავ ვარდით

ივერიკო. თუ თქვენ ერთმანეთს ასე უმტრობთ, მაშინ გზა ჩემი ეკლით და ხართ, საყვარულო, მოიფინება! (ყვლზე ეხვევა) ო ქართლო, გული მოიბრუნე! მოჰკალ ეგ ფიქრი რომ მზის ნათელმა არ იხილოს! —

აქრთლო. (მხურვალედ თვალეში ჩასქცერის) ჩემო სიცოცხლე! (ეამბორება)

VI. ივინევე, ხეფქალი, შემდეგ კახო და იმერო.
ხეფქალი. (შემოვარდება შემინებული და ივერიკოს კალთის წინ დაემხობა) ტკბილო, კეთილო დედოფალო! უშველე რამე! — კახოს, იმეროს დერფენში ცხარე ჩხუბი აქვთ! რაღაცა მცირე ლაპარაკი ორთავ შეექმნათ, მერე გამწვავდა მათი სიტყვა, ხმლები იზიშვლეს! (კახო ბრძოლით იმეროს უკან ახვივნებს და ასეშემოდინან)
ივერიკო. ო მზეო, მზეო! დაგვიფარე! — კახო! ივერო! რად არ გრცხვენინათ? თქვენს წინაშე განა ვერ მხედავთ? **იმერო.** (მუხლს მოუყრის) გავასამართლე, დედოფალო, და მსჯავრი დაგვდე.

თუ ამ ჩვენ ორში დამნაშავე ვინ უფრო არის! კახოს მე მხოლოდ მშვიდის სიტყვით და დარიგებით ვურჩევდი, რათა თვის შავს ფიქრზე ხელი აეღო, რომელი ფიქრიც უნებურად გზაში წამოსცდა.

ეს მან იწყინა, ბრალი დამლო, ვითომც მე ქართლოს ვეფერებოდე და ფაულად მხარი მექროს. გვაბრალებს, ვითომც ჩვენ მას ეტრობდეთ— ეს მე მეწყინა, რადგან ბრალი ტყუილად დამლო, ცოტა არ იყოს, ვუპასუხე მეც მკაცრის სიტყვით, აღარ ახანა—ბრაზმოსულმა იშიშვლა ხმალი და სასიკვდილოდ გამიმეტა შენი ერთგული!

ქართლო. (კახოსთან მივა, ჯერ წყნარად, მერე ხმას უმაღლებს) კაცი, რა გინდა? რა გწადინა? განა უმცროსი ძმა დაიბოიყვე, ომში შენზე მოხერხებული? რას აოუღუხარ? ლობე ყოვრს რას მიეღები? რა მიზეზს ეძებ? — შენი ზრახვა ჩვენ ყველამ ვიცი! გეყო, რაც გზაში წამოვრე... ნებას არ მოგცემთ...

კახო. ჩემი ზრახვა თუ შენი ზრახვა? შენ თვით გამოტყდი, თუ რა გწადინა, არ იხ ელტი, შე ბაიყუშო! განა ვერ მიხვდი, წელი რა როგ მანგზე მღეროდი როს ბრძოლის ერთი თავი გსურდა გეჩვენებინა? შენ თვითონ რა გსურს? არ გსურს განა ერთი უფლობდე? ერთს გეკუთვნოდეს სამთა ძმთა ხედრი საუნჯე?

ქართლო. გაჩუმიდ თორემ ძირიანად მოგავლევ ენას!
კახო. ხომ გულში მოგხვდა და გენიშნა მართალი სიტყვა! ლაჩარი იყო, თუ ქალილი არ აისრული და მაშინ ჰნახავ, თუ ვისთან გაქვს საქმე მეგებარას!

ქართლო. ბრაზით ნუ მავსებ!
კახო. შენმა ბრაზმა დაე მოვიდნოს, მარტოკაც მყოფი თავისუფლად ამოვისუნთქებ!

ქართლო. (გაბრაზებული მივარდება და ყელში წაუჭერს) დაგვარჩობ, კახო!
კახო. (ბრძოლით თავს ინთავისუფლებს) ხმალი შენა!

იმერო. (შუაში ჩადგება, ხან ერთს, ხან მეორეს) ძმებო გაშველდით!
უბრალო იყო თქვენი დავა, უბრალოდ მორჩით! ძმებო, რას შერებით... გონს ნუ ჰკარგავთ... ვით გეკადრებთ.

კახო. (ხმალი იშვილებს) ხმალი, ლაჩარო!
(ქართლოც ხმალი იშვილებს და გამწარებით იბრძვიან. ივერიკო ლჩაქს იხსნის და მათ შუა ავდებს! მებრძოლი ხმლებს დაბლა დაუშვებენ და აქეთ-იქით პირს იბრუნებენ)

ივერიკო. ჩვენს თავს რა რისხვა დატრიალდა? როგორ? თქვენ ჩხუბობთ? და ერთმანეთსა სასიკვდილოდ იმეტებთ კიდეც? (მეტად გულნატკენი)

განა არ იციო, რომ მაგ ბრძოლით თქვენს მიჯნურს სტანჯავთ? (ბრძანებით, სიდალით) ჩაავეთ ხმლები და შერიგდით—რა დროს ჩხუბია, როს ბრძოლის შემდეგ სიხარულსა უნდა მიეცეთ და გაშლილ ტაბლას სახეიმოდ გარს შემოუსხდესთ?

ქართლო. (სიწმინის შემდეგ ძმებს) მე თქვენთან აღარ მედგომება! ჩემს გზას თვით ვპოვებ და დაგანახებთ, ქართლოს თავი რის ღირსიც არის!

იმერო. (წინ გადაეღობება) საით? გონს მოდი! კახომ თუ რამ შენ გაწყენინა და სახიფათოს განიზრახავ შურის საგებლად, მე რა პასუხს მიცემ?

ქართლო. (გზიდან ხელს ჰკრავს) შენც და იგიც ეშმაკმა გზილოთ! (გაბრაზებული გადის)

იმერო. (ღიღის სიწმინის შემდეგ) მაშ ასე არის? ვხედავ, ყველა თავისას სცილობს, როცა მე უფრო შემოძლიან ჩემი დიდება, ჩემი საუნჯე ვასახებო! — მეც ჩემი გზა მაქვს!

ივერიკო. (გამტრებული ქანდაკებასავით სდგას) ჩემი ხეიმი მოიშხამა—
კახო. (კენსით) ო, დაუჭრივარ! —
ფარდა. (შემდეგი იქნება)

თ ბ ი ლ ი ს ი ა ვ ლ ა რ შ ი



მოსკოვის ქუჩა.

ვაჟა-ფშაველასთან

ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ჩვენი მთის არწივი ვაჟა-ფშაველა ამ დრომდე მძიმედ ავად არის, იგი თავის მძიმე ბინიდან ექიმების რჩევით წმინდის სახელობაზე დაარსებულ ლაზარეთში იქნება გადაყვანილი.

14 ივნისს მისმა ნაცნობებმა და მეგობრებმა ვინახულენ. კერძოდ ამ სტრუქტურების დამწერს არ მეგონა, თუ ჩვენი დიდებული მგოსანთა მეფე ფიზიკურად ასე რიგად მისუსტდებოდა. გამკრიახი ავადობები ჩასცივინია, გამხდარა, გავითრებულია, მაგრამ სულს სიძლიერე მაინც გველტურის შერჩენია.

შეტად სწუხდა, რომ თავისუფლებას მიჩვეული ავადმყოფობის გამო ოთხ კედელ შუა მოემწყვდა. განკურნებას სულის სისწრაფით მოელის, რათა კვლავ დაუტკროლს მაღალ მთებს და იქ შეიღწეოს ჯანის შემრგები ჰაერი.

— დასწყევლოს ღმერთმა! რა ბედი ახის ესაო! ცოტადენი გროვები ეხლა გიშოვნე, ეხლა მომეცა კარგი ჭამა-სმა, მაგრამ რომ არც მად მაქვს და ვერც უფლი მომიხმარებიაო—ღმილით გვეუბნებოდა მგოსანი და ჩვენც ნალვლიანად გავცივებდა.

მოუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა ასე მძიმედ ავად არის, მისი საუბარი ახლისანინა და კაც სურვილს უძრავს თვითი დღე ყური უფლოს, აღარ უძმობრდეს, მაგრამ დიდხანს მგოსანთან ყოფნა უჭიმებდნენ აკრძალულია.

სხვა და სხვა შთაბეჭდილებით და ამის მოთხოვნით მგოსანი იღლება, რაც მის სურვს ვნებს.

უტურსულ ჩვენს მთის არწივს მშვიდობით განკურნება და სიცოცხლე მრავალად მიეცეს.

ს. შ.

ახალი ამბავი

უხვი შეწირულება. სტატს დამამ ენ. ე. ნ. მუხრან-ბატონმა მცხეთის ტაძრის განსამშენებლად 1,000 მან. შეწირა.

სანიტარული ღონისძიებანი. რამდენიმე დღის წინად, კ. ი. სვიმონიშვილის თავმჯდომარეობით, დ. შულავერში ყოფილი ჰქონდა ბორჩალოს მაზრის სანიტარული კომისიის. კრებამ დაადგინა, ივლისის პირველ რიცხვებში კომისიის წევრებმა შემოიარონ მთელი მაზრის სოფლები და ადგილობრივ მიიღონ შესაფერი სანიტარული ღონისძიებანი. კომისიის თავმჯდომარე კ. ი. სვიმონიშვილი, მაზრის ექიმთან ერთად 1 ივლისს აპირებს სოფლების დასათვალიერებლად გამგზავრებას.

პარკის ბაზარი. დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ ქუთაისსა, ხონსა და სამტრედიასში, დაიხსნა ყაქის პარკის ბაზრობა. ფუთი ნედლი პარკი ფასობს 15 მანეთამდე, მაშინ როდესაც ამოსავლეთ კავკასიაში, მაგალითად, შუშასა და ნუხაში, უფრო ნაკლები ღირსების პარკი ფუთი 20 მან. ფასობს. ასეთი სიბაჟის გამო პარკის დიდძალი წყიდველი მოაწყდა იმერეთის ბაზრებს. თითოეული ბაზრის განსაკუთრებული კანონი ჰყავს, რომელიც პარკზე ფასებს აწესებს და წონას ადგენებს თვალყურს.

მანეთი, ხოლო ყოველთვიურად შეპირდა 9322 მან. ეს ფულგობა გადადებული იმ თანხიდან, რომელიც შავ-ჭირთან მეტრო-ძოლ კომისიის განკარგულებაში იყო.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა სექციები არ დაითხოვოს და დაავალოს მათ თვეში 1—2-ჯერ შეიკრიბონ; დადგენილების თანახმად, თითონ გამგეობაც ყოველ თვეში უნდა შეიკრიბოს 1—2-ჯერ. სისტემატიური მუშაობა სახალხო უნივერსიტეტების დაიწყება შუა აგვისტოდან.

კახეთის რკინის გზა 19 ივნისს თავდაზნაურთა მარშლებს და დეპუტატებს კრება ჰქონდათ კახეთის რკინის გზის ჩაბარების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებას დაესწრო გზის მკეთებელი ინჟინერი თავ. გ. პ. თუმანიშვილი. გზის ჩაბარების ვადა არის 18 ივლისს. ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზედ, რომ გზა ერთობ დაზიანებულია ნიაღვრებისაგან და მისი შეკეთება დიდ დროს მოითხოვს. თავ. თუმანიშვილმა განუმარტა კრებას, რომ გზა არც ისე გაფუჭებულია, როგორც ბევრს ჰგონიათ; თუ კარგი დარები დადგა, გზის შეკეთება 2—3 კვირის განმავლობაში შეიძლება. კრებამ გადასწყვიტა გზა ჩაიბაროს ვადაზე. ამასთანავე არჩულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი გზის გამგეობის ორგანიზაციისა. კომისიაში შედიან თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, რ. ყაზბეგი და გ. დ. ყურული. ინჟინერს გ. პ. თუმანიშვილს დაავალა კრებამ ვაქცენის საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვას და თავისი მოსაზრება წარმოადგინოს. ეს პროექტი უნდა გაიზავნოს პეტროგრადში.

განჯა. 15 ივნისს სააქციო უწყების მიხედვით ჩიჩუამ რევოლუციური მოქალაქეების მიხედვით მომუშავე ქალი ანტ. გავრილოვა. შემდეგ თვითონაც მოიკლა თავი. გავრილოვა და ჩიჩუა დიდხანს სცხოვრობდნენ ერთად. ერთ დღეს მათი დამოკიდებულება აღმოაჩინა ჩიჩუას მეუღლემ. ზედ საბედისწერო დღეს იგი მიუსულა გავრილოვას ბინაზე და მეუღლისთვის მოუსწვრია. მაგიდაზე სამი წერილი დებულა: ერთი გავრილოვას დიდსთან, მეორე დასთან, ხოლო მესამე—პოლიციასთან. უკანასკნელ წერილში ამბობდა, რომ ჩემს თავს 14 ივნისში მოვუღებ ბოლოს, მაგრამ ამ დღეს ხელი შეუშალეს. ჩიჩუა ითხოვს რევოლუციური ცოლს გადასცენ.

გავრილოვა პატარობიდანვე სცხოვრობდა მარტოდ-მარტო განჯაში. ჩიჩუა დიდი ხანი არ არის, რაც აქ გადმოიყვანეს. ქერივის გარდა მას დარჩა ორი ბავშვი. (კ. ს.)

შეცდომის გასწორება. აკაკის მოგონების აღწერაში შეცდომით დაბეჭდილია, რომ აკაკი მზარეულს დღეში შვიდ მანათს აძლევდაო, უნდა იყოს ორი მანათი. გუშინდელ წერილს „გონიერულია?“—ხელი აწერია: წ. კ. ს. ს. გამგეობის წევრი გერასიმე ინწავილი, უნდა იყოს სასკოლო სექციის წევრი.

პ რ მ ს ა

ქუთათურ „სამშობლო“-ში დაბეჭდილია შ. ამირჯიბის წერილი „ნაფლეთების პარტია“, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს „სოციალისტ-ფედერალისტებს“. ვებეჭდვით ამ წერილს სასჯელით.

„სახალხო ფურცელს“ მეწვერილმანის ფსიხოლოგია აქვს: როგორ გაბეღე შენ ჩემ ქუჩაზედ საწვრილმანის განხაო, ეუბნება იგი „საქართველოს“. მეორე მისი ჩვეულება უფრო საბავილია—ვიხა ხარ, რა გინდა, რა გსურს, კითხვება იგი ყველას. ასეთ კითხვებს იძლევა ის გავლენა, რომელსაც თამამად შეგვიძლიან უპროფესიო გაზეთი უწოდებთ და რომელმაც თითონ არ ი ი აქამდის ვინ არის, რა უნდა და რა სურს! საქარისი არ არის სთქვა, რომ უკვე ცნობილი მიმართულება“ ხარ. ბოლოს და ბოლოს ლოკოკინაც აღწევს ხოლმე თავის ადგილს. ფედერალისტთა არსებობაც კველამ გაიგო, მაგრამ ვანა შემარტება მათის პროგრამისა. მათის მოღვაწეობის ამ ფაქტშია. აქ ის არის დიდი დღე-ღათი, რომ თავის ჯგუფს „ფესვებ მომაგრებულ“ ჯგუფად სთვლის გაზეთი. არსებობს კატეგორია ჩრდილში დასმულ მეციერთა. გაიზრდებიან ბოლოკის ოდენა და მერე მთელი ჭკვა ფესვებში მისილი. ნამდვილია კი ზრდა ზვეთი უნდა და არა ქვეითი. მერე, რამდენად გაიზარდა ფედერალისტთა პარტია? 1904—5 წელს იმდენი იყვნენ, რომ პარტია

დაარსეს. მერე ისე ცოტანი აღმოჩნდნენ, რომ პარტია დაიშალა. აი, მთელი ისტორია, მაგრამ ამ ისტორიას ფედერალისტები რეზინივით სტიმანენ და თან ბავშვებზედ უხარბით, რომ რეზინას ასეთი თვისება ჰქონია!

მათ ერთი საყვარელი ფრაზა აქვთ. „უკვე ორ ცნობილ მიმართულებას გარდა, ჩვენში სხვა მიმართულებას ადგილი არა აქვსო“, გვეუბნებიან ისინი ჩვენ. პირველი თითონ არიან. მეორენი—სოციალ-დემოკრატები. მაგრამ რა აბსურდია ამის თქმა! თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მეორე მიმართულებას თითონვე ებრძვიან და არც მისი raison d'etre-ის წყაბთ, გამოდის, რომ საქართველოში ფედერალისტების მეტს, სხვა მიმართულებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ვანა შეიძლება ასეთი ლოგიკით ცხოვრება? ეს ხომ ანტროპოფაგია არის! ასეთი რამ მონოპოლიასა და პატენტს წააგავს, მაგრამ იღეა და საზოგადოებრივი პროგრესი სპირტი ხომ არ არის, რომ პატენტით ივაჭრო... ეჭვი არ არის, რომ ჩვენში სხვა პარტეზიკი უნდა განდგნენ, უფრო მეტად ეჭვი არ არის, რომ ზოგიერთები უნდა გაქრნენ. და ამ პროცესს უკვე ვხედავთ. ირავებმა ახალი ჯგუფი, რომელიც თავის სოციალურ-ეკონომიურ თვისებების მიხედვით გაცილებით ძლიერი იქნება ბევრ ჯგუფზედ. ირყვე ის ჯგუფი, რომლის პროგრამა ფრანგმენტალური არის. ეს ისე ნათელი და აშკარაა, რომ ამის თქმა არავის არ უნდა დაუბრუნებ საწყინად, მაგრამ ჩვენ სულ წინააღმდეგობა გავრწმუნებენ. გვარწმუნებენ რომ ჯერ კიდევ ჯან-ღონით არიან საყვანი და ინდივიდუალთა ჯოტობა „ნაფლეთების პარტიაში“ პარტიის ორგანიულ სიცოცხლედ ასაღებენ. ეს შეცდომაა:

ოღესლაც ამ პარტიაში გონებრივი მიმართება იყო, სწარმოებდა ბრძოლა არა მარტო პარტიის გარეთ, არამედ პარტიის შიგნითაც. არჩულ ჯორჯაძე ელფრადელი მოაზროვნე იყო, და ვითო ხასიათი მის ბუნებისა—მას შეეძლო ისე იქ მიეყვანა პარტია, საიდანაც მან თვით წამოიყვანა იგი.

ჩვენ ვვულისხმობთ იმ დებულებას ნაციონალისტების პროგრამისას, რომელიც არსებობდა ენევის კონფერენციამდე. მან ეს ვერ მოახერხა სიცოცხლის დროს და მის მოწაფეებს კი ასეთი ფაქტის არსებობაც კი დაეცივდათ. მაშ რა არის გასაკვირველი, რომ რაც მათ ვერ შესძლეს, სხვამ გააკეთეს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ეხლა სწორეთ ეს პროცესი ხდება. უნდა გარდაქმნათ. ან ხელახლათ შეექმნათ ის პარტია, რომელიც სახელმძღვანელოდ საქ. ეროვნულ აღორძინებას დასაზავს. ხომ სთქვა არჩულ ჯორჯაძემ, რომ „სოციალისტი იმიტომ შევიტანეთ პროგრამაში, რომ უამისოდ ქართველ ხალხში გამოვსვლა მაშინ შეუძლებელი იყოო“. მაშასადამე ეს იყო დროებითი ზომი და ეს იყო „მაშინ“. მაგრამ მიიხედეთ უკან—რამდენი რამ გამოვიარეთ მას შემდეგ და რამდენი დროებითი ხელშეკრულება დაიხა, აღარ არიან ცოცხლად აღარც ისინი, ვინც ამ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ჩვენ მიუხედავად პოლიტიკურ პროგრესს და სრულებითად არ მიგვანია მიკვალებულითა საფლავის შეგინებათ, რაც ისეთ ანდრეებს ვხვდეთ, სადაც მოთავსი დებულება შეცვლილია დროებით „ეკთილ-გონიერებაზე და ხერხზე“.

შენობის სიმკვიდრე კი იმაზედ იქნება დამოკიდებული, რაოდენ უნარს გამოიჩინეთ საი მასალის შეგროვება-შერჩევაში. მასალა მზად არ არის, იგი არაფერია მდარე ხარისხიდან მასალაში. აქ გვემართებს სიფრთხილე, გამკრიახობა და სათანადო ენერჯის გამოჩენა. უნდა გვახსოვდეს კარგად, რომ საძირკველი უკვე ყურება მომავალ ენეკინსიდან ამ დიად ეროვნულ შენობას, რომლის გეგმა დამტკიცდა ივლისში 1914 წ.

მკითხველს, უმეკველია, ეკლინება, რომ მომავალ სექტემბრიდან ქუთაისის და თბილისის ქართული გიმნაზიები „განათლების“ საზოგადოების ქალთა სკოლა და თბილისის ქართული ქალების გიმნაზია გადაკეთებულ იქნებიან თანახმად ივლისის კანონისა, ე. ი. ამ სასწავლებლებში სწავლება, გარდა რუსეთის ისტორიისა, გეოგრაფიისა, რუსული ენისა და სიტყვიერებისა, ქართულ ენაზედ იწარმოებეს. ეს ისეთი დიდი ეროვნული საქმეა, ისეთი დიდი პერსპექტივა იშლება თვალ-წინ, რომ როდესაც ამას უფიქრდები, სიამოვნების ყრუანტული გვიღის ტანში. როდესაც ძლევა-მოსილი ბალკანეთის სახელმწიფოთა მოკავშირე ჯარები მიერეკებოდნენ სტამბოლისკენ ოსმალეთს, ერთი ეკლესიის სარდაფში, რომელიც რამდენიმე ასი წლის წინად მჭიოთად იყო გადაკეული, იპოვეს ძველი ზარები. ეს ზარები ამოიტანეს, ჩამოკიდეს სამრეკლოზედ და რამდენიმე ასი წლის სიჩუმის შემდეგ პირველად გაიხმა ზარის ხმა. მსმენელთ თურმე ყრუანტულმა დაუარა ტანში და სიხარულის ცრემლები წამოსცივდათ. აი ასეთი სიხარულის ცრემლებსა ღვრის ის ადამიანი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ასი წლის სიჩუმის შემდეგ კვლავ ამეტ-

მიღებში. ღვიძლსა, თიოკლესსა და ტყიროში ავადმყოფს ქრონიკული ცვლოლება ეწინააღმდეგება სწრაფი ნაკლებობა აქვს სწრაფი ნაკლებობა მეტად დასუსტებულია.

ავადმყოფი თავს შედარებით კარგად გრძობს. სუნთქვისა და გულის მოქედების სისწორე ნორმალურ დიდად არ არის დაშორებული. გადაწყვეტილია ჯერჯერობით სითხე არ ამოიღონ.

გამოხვალის უანიუზნაჰი

ერთი „ღიადი შენობის“ შესახებ.

ყველას მოეხსენება, თუ რა მუხრუჭ მოქერილი იყო, და არის დღესაც ჩვენში ეროვნულ ნიადაგზე დაყენებული სწავლება-აღზრდის საქმე. სკოლას ჩვენში იმ თავითვე პოლიტიკური მიზანი დაუდევს სარჩულად, და ამ მიზნის დანიშნულება იყო—ჩვენი ხალხის შეერთება-ერთიანება (სოციალისტი) გაბატონებულ ერთან. თუ მივიღებთ მხედველობაში ნაციონალურ ხასიათს—ღობეს იქით გადახედვის ნიჭისა და უნარის უქონლობას, თეთრი კბილის და შავი გულის გაურჩევლობა-შეუმჩნევლობას, თვითმოქმედების უქონლობას, იმედების სხვაზე დამყარებას, მარტო დღევანდელი დღის ინტერესით ცხოვრებას, ღიახ, თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ამას, მაშინ არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, თუ რა დამლუპველ უბსკრულისკენ მიექანებოდა ჩვენი ერი, ჩვენი ცხოვრება. მაგრამ დაჰხებრა 1905 წლის ძლიერმა გრიგალმა და ძირიანად შეარყია უხარმხარი შენობა. კედლები იმოდენად დასკდა და დაირღვა, რომ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამ შენობაში ცხოვრება საშუალო და, მაშასადამე, შეუძლებელია... და ყველა მდგმურები გარედ გამოვიდნენ. ამანირად დაიბადა საჭიროება ახალი შენობის აგებისა. თუ აქამდის საერთო შენობა—ყაზარაში თავსდებოდნენ, ეხლა ისინი აღარ ყაბულდებოდნენ ასეთ შენობას და ყველა თავის გემოვნებაზე აგებულ სადგომსა თხოულობდა. ძნელი და ძვირი იყო ასეთი მრავალფეროვანი სახლის აშენება, ძნელი იყო მისი მოვლა-პატრონობა, და აი, შეუდგნენ დახეტქილი კედლების შესვლა-შეღებაზედა, ზოგან შუა კედლებიც ამოიღეს, რათა მეტი ხალვათობა ყოფილიყო: იმედი ჰქონდათ ხელმეორედ დაებინავებინათ შიგ მდგმურები. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო გამოდგა: მდგმურები თავისას გაიძახოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ბოლოს რომ ვეღარა გააწყვეს, რა, ზოგს თვითონ აუშენეს ახალი სადგომი, ზოგსაც ნება დართეს ახლის აშენებისა. ახალი სახლის აგების უფლება ვკონებს, ჩვენც მოგვეცეს, მაგრამ—შეხოლოდ უფლება.

შენობის სიმკვიდრე კი იმაზედ იქნება დამოკიდებული, რაოდენ უნარს გამოიჩინეთ საი მასალის შეგროვება-შერჩევაში. მასალა მზად არ არის, იგი არაფერია მდარე ხარისხიდან მასალაში. აქ გვემართებს სიფრთხილე, გამკრიახობა და სათანადო ენერჯის გამოჩენა. უნდა გვახსოვდეს კარგად, რომ საძირკველი უკვე ყურება მომავალ ენეკინსიდან ამ დიად ეროვნულ შენობას, რომლის გეგმა დამტკიცდა ივლისში 1914 წ.

მკითხველს, უმეკველია, ეკლინება, რომ მომავალ სექტემბრიდან ქუთაისის და თბილისის ქართული გიმნაზიები „განათლების“ საზოგადოების ქალთა სკოლა და თბილისის ქართული ქალების გიმნაზია გადაკეთებულ იქნებიან თანახმად ივლისის კანონისა, ე. ი. ამ სასწავლებლებში სწავლება, გარდა რუსეთის ისტორიისა, გეოგრაფიისა, რუსული ენისა და სიტყვიერებისა, ქართულ ენაზედ იწარმოებეს. ეს ისეთი დიდი ეროვნული საქმეა, ისეთი დიდი პერსპექტივა იშლება თვალ-წინ, რომ როდესაც ამას უფიქრდები, სიამოვნების ყრუანტული გვიღის ტანში. როდესაც ძლევა-მოსილი ბალკანეთის სახელმწიფოთა მოკავშირე ჯარები მიერეკებოდნენ სტამბოლისკენ ოსმალეთს, ერთი ეკლესიის სარდაფში, რომელიც რამდენიმე ასი წლის წინად მჭიოთად იყო გადაკეული, იპოვეს ძველი ზარები. ეს ზარები ამოიტანეს, ჩამოკიდეს სამრეკლოზედ და რამდენიმე ასი წლის სიჩუმის შემდეგ პირველად გაიხმა ზარის ხმა. მსმენელთ თურმე ყრუანტულმა დაუარა ტანში და სიხარულის ცრემლები წამოსცივდათ. აი ასეთი სიხარულის ცრემლებსა ღვრის ის ადამიანი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ასი წლის სიჩუმის შემდეგ კვლავ ამეტ-

ვაჟა-ფშაველას სადგეოფობა

ამა ივნისის 17 და 19 წმ. ნინოს ლაზარეთში მგოსნის სარეცელთან შესდგა კონსულტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექიმებმა ს. ს. ვირსალაძემ, ი. გ. გომართელმა, ე. მ. მახვილაძემ, გ. მ. მუხაძემ და შ. ა. მიქელაძემ გამოირკვა, რომ ავადმყოფის თავი და თვი სატკივარი ამ დრომდე მარჯვენა გვერდის სველი პლევურიტი; ექსუდატი (ჩამდგარი სითხე) აღწევს პლევრის სიდრუის სულ ზვეთია სასლვარს. მარცხენა გვერდში ავადმყოფს აქვს მზარალი პლევურიტი.

ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია, რადგან გვერდიდან სითხის ამოცილის შემდეგ ახალმა სითხემ სწრაფად მოიყარა თავი სისხლის

ყველდება ჩვენ სკოლებში (რა ვუყოთ, რომ ჯერ მარტო კერძო სკოლებში) ქართული ენა, კვლავ აღორძინდება ქართული მეცნიერული აზრი, ხელოვნება, ღვთისმეტყველება და სხვ. ვინ იცის, იქნება დღეს ახალი შოთა ღამის მებრძოლი არის, ხედავ იგი შეიძლება ახალ მნათობად მოველინოს ჩვენს ქვეყანას. ვიმეორებთ, დიად შენობას ეყრება საძირკველი. საქართველოს განსწავლულნი ხუროთმოძღვრები—ოსტატნი და შესაფერი მკვიდრი მასალა, რომლის შესახებ შემდეგ გამოველაპარაკებთ შეიძლება.

ვას. ჯავახიძე.

ქუთაისის ქართულ საკულტო-მოსამართლო საზოგადოების მოქმედებები.

ხსენებულ საზოგადოების განყოფილება უკვე იწყებს თავის პრაქტიკულ მოქმედებას. სანამ ადგილობრივი ხალხი გაეცნობა ამ საზოგადოების მიზანს, მის საზღვარებს და წევრად ჩაეწერება, იგი დროს შესაფერ პრაქტიკულ ზომებს იღებს, საქმიანობას ეწევა ცხოვრებისაგან წამოყენებულ საკითხებზე და მით იწყებს თავის მიზნის სათავეს განხორციელებას.

შემილომა რომ იმერეთს, და განსაკუთრებით გურია-სამეგრელოს, კარს აღვიკო, — ეს დღეს ბრძის მეტმა ყველამ აშკარად დაინახა და დამწულთა დასაპურებლად დღეს დიდი და პატივია, მოხელე თუ ინტელიგენტი ქუდივალეჯილი დარბიან საღვთის შორს სიმინდის საზოგადოებას.

ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოებაშიც ეს არი ამ დღეებში იყდა გორში იქვე ქართულ მეტრინათა სინდიკატისაგან ორი ვაგონი სიმინდი, რომელიც 16 ივნისს უკვე მიიტანეს სენაკში ქვირ-ობლების, მეტად დაზარალებულ მცხოვრებთათვის ნუქთად, დაუბრუნებლად დასარიგებლად. აქედან ერთი ვაგონი უნდა დაურიგდეს სენაკის მაზრის მკვიდრთ, ხოლო მეორე — შუგდილის სოფელს.

17 ივნისს სენაკ-შუგდილის მცხოვრებლებს გამოუგზავნიათ ქუთაისში თავიანთი წარმომადგენელი ალფე თულაქიძე. აკაკი ჩხენკელიან და ევგენი გუგუნიანი, რომ მათ საქველ-მოქმედო საზოგადოების სახელით იმუშადგომონ გუბერნატორის წინაშე, რათა მან მისწეროს მაზრის უფროსებს — დახმარება აღმოუჩინონ ხალხის წარმომადგენლებს სიმინდის მუქთად დარიგებაში, რათა ხალხის მიერ წარმოდგენილი სიებით უღარიბეს ოჯახებს დაურიგდეს ეს სიმინდი.

ამის გამო აკაკი ჩხენკელიან იმავე დღეს ინახულა გუბერნატორი და თავის თანადასწრებთ მიაწერინა სენაკის მაზრის უფროსის ლევაშოვისათვის შემდეგი შინაარსის დეკლარაცია: „წინადადება გაძლევთ დახმარება გაუწიეთ ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოების რწმუნებულს კონსტანტინე კეშელავას ერთი ვაგონი სიმინდის სოფლის ქვირ-ობლებისთვის დარიგებაში“.

თავის მხრით ქუთ. საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მეტი ფაღვანი შემდეგი შინაარსის ოფიციალური მიწერილობა გაუგზავნა იმავე მაზრის უფროსს:

„გამგებომა ქუთ. ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოებისა უმდაბლესად გთხოვთ, თქვენო კეთილშობილებზე, ნება დართოთ საზოგადოების წარმომადგენელს კონსტანტინე კეშელავას დაურიგოს მშვიტ ხალხს საზოგადოების მიერ მის სახელზე გამოგზავნილი სიმინდი. ამასთან გაცნობებთ, რომ კეშელავამ უნდა წარმოუდგინოს ქუთ. საზოგადოების გამგეობას სასრული ანგარიში მის მიერ მიღებულ და დარიგებულ სიმინდისა.

ეს საბუღალტრო ქუთ. განყოფილებამ მიანდა სხვა მაზრებშიაც თავის წარმომადგენლებს, იმ მოსაზრებით, რომ გაეცნოთ თავისთვის აღმინისტრაციას, რომელიც უამისოდაც მრავალი საქმით არის დატვირთული და მაგ საზოგადოების საქმეებს ვეღარ აუვა.

მაგრამ თუ არსებული გამომცემი კომისია დაეხმარება ჩვენს წარმომადგენლებს, გამგეობა ამისათვის მათ მადლობას ეტყვის“.

თავმჯდომარე მ. ფაღვანი მდივანი გრ. გიორგაძე.

1915 წ. 17 ივნისი.

ქუთაისის საზოგადოებას გურია-სამეგრელოდან და შორაპნიდან სთხოვენ იქამ საზოგადოების განყოფილების დაარსებას.

ბას. საქართველოს ხსენებულ საზოგადოებას ქუთაისში — ამ იმერეთის გულში მოლონიერდეს, რომ მერე პროვინციებშიაც გაიდგას ფესვები.

ურთიკო არ იქნება ქუთაისში უკვე არსებული და დღეს ცოცხალ-მკვდარი ამავე სახელწოდების საზოგადოება, რომელსაც პატრონი — გამგეობაც კი აღარ მოეძებნება და ქონება კი, რამდენადაც ვიცით, 30,000 მანეთისა აქვს, ამ ახალ საზოგადოებას შემოუერთდებოდეს თავის ქონებით და წევრებით.

ამ დღეებში ამ საქველმოქმედო საზოგადოების კრებას აპირებენ და საქართველო იგი მრავალრიცხოვანი იყოს და მაშინ გადაწყდეს ამ ძველ საქველმოქმედო საზოგადოების არსებობა თუ მოსპობა. ეს დღეს მეტად საქართველოს, მით უფრო, რომ საზოგადოება უპატრონი და უსაქმოდ არის დარჩენილი.

ქუთათური მწიგნობარი.

ქალაქის ჯალაღონის გენიუზნალობა

1 ივნისს (ახალს სტილით) 1890 წ. ინგლის-გერმანიის შეთანხმება მიხდა, რომლის ძალით გერმანია ინგლისის სასარგებლოდ უარს აცხადებდა უგანდაზე და ზანზიბარზე (აფრიკაში), ინგლისი თავის მხრით გერმანიას ჰელგოლანდს უთმობდა. ამ შეთანხმებით ლიკვიდაცია მიხდა ინგლის-გერმანიის უთანხმოებისა. როდესაც 17 ივნისს 1890 წ. ბერლინურ გაზეთებში მოათავსეს ცნობა ამ შეთანხმების შესახებ, გერმანია დიდს აღტაცებით მიეგებას. ერთის მხრივ გერმანიაში შეიგნეს ამ კუნძულის ღირებულება ომის დროს, და მეორეს მხრივ — ინგლისთან შეთანხმებას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ გერმანელები. გერმანიის ვიცე ადმირალმა შენკემა პრესაში აღნიშნა დაუფრთხილებელი სტრატეგიული მნიშვნელობა კუნძულ ჰელგოლანდისა. ამ კუნძულის ნავთბრუნატორალმა ინგლისელმა მასკმა ინგლისურ გაზეთებში გულის წყრომით აღსასვე წერილები მოათავსა ამ კუნძულის დაკარგვის შესახებ, რადგანაც საქმარის იყო გერმანელებს ერთი მილიონი გირგანქა სტერლინგი დაეხარჯათ, რომ ის ჩრდილოეთ ზღვის გიბრალტარად ექციათ. ინგლისელ გენერალმა კლარკმა გაილაშქრა ამ კუნძულის დათმობის წინააღმდეგ, რადგანაც გერმანია მხოლოდ „გეოგრაფიული ტერიტორია“ როდია, არამედ საზღვაო და საკოლონიო სახელმწიფო. კლარკის აზრით თვით განგებამ მისაკუთრა ინგლისის ჰელგოლანდი, რომ მას დაეპყრო ჩრდილოეთის ზღვა. გერმანია და ინგლისის შედარებაში შინაოდ უპირატესობა უპირატესობა და გველეშაპის შედარებას, მაგრამ დღეს გერმანია არამეტო მარტო სპილოა, არამედ გველეშაპიც. კლარკი იმასაც გულისხმობდა, რომ ჰელგოლანდის გერმანეთა ხელში გადასვლა გამოიწვევს საფრანგეთის უკმაყოფილებას, რადგან ეს კუნძული საფრანგეთის ფლოტის წინააღმდეგ მოქმედების ბაზად შეიქმნება. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიის პრესაში კოლონიალურ პოტიკის მომხრეებმა მწუხარება გამოაცხადეს აფრიკის ადგილების უგანდისა და ზანზიბარის დაკარგვის გამო. თავის მხრივ ინგლისური პრესა ირონიულად მიეგება გერმანიის მიერ აფრიკაზე ხელის აღებას. ამან საშინლად გაამწვავა საკითხი გერმანიაში, დიწყო მითქმამოთქმა, რომ ასეთი ხელსაყრელი პირობა აიხსნება ნათესაობითი კავშირით ამ ორ სახელმწიფოთა სამეფო გვარეულობას: ვილჰელმ II-ს არ შეეძლო არ დაეთმო თავის ბებია ვიქტორიასთვის, — ვილჰელმ I-იც ასეთ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდაო. ხელშეკრულების მოწინააღმდეგე პარტიათა ხელმძღვანელად ბისმარკი ითვლებოდა. საფრანგეთში, როგორც კლარკმა იწინააღმდეგებდა, კუნძულ ჰელგოლანდის დათმობამ საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია. „Temps“-ს ეჭვი დაეხდა, ვაი თუ ინგლისი სამთა კავშირს მიემხროსო. ფრანგების წუხილმა ეგრადერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში, საცა ვაიმარჯვეს იმპერალისტური პოლიტიკის მომხრეებმა. მათ ზურგს უმაგრებდა მაშინ გამოჩენილი მოგზაური სტენილი, რომელსაც დიდ სარგებლობად მიანდა ახალ მიწების შექმნა. სალისბერი არაფერ სტრატეგიულ მნიშვნელობას არ აწერდა ჰელგოლანდს. კუნძული გამაგრებული არასოდეს ყოფილა და ვერც კი წარმო-

ედგინათ მისი გამაგრება. პირიქით, ინგლისში იმ აზრისა იყვნენ, რომ ომის დროს ეს კუნძული ინგლისისთვის მეტი ბარგი იქნება. „Frankfurter Zeitung“, გერმანიას ულოცავს 1890 წელს — ე. ი. ამ კუნძულის შექმნის დღეს, და რამოდენიმე კითხვას იძლევა: რა იქნებოდა ჰელგოლანდი ეხლა ინგლისელს რომ ეკუთვნოდეს. რა დამართებოდა ჰამბურგს, ბრემენს და მთელ გერმანიის ნაპირებს. გერმანია კოლონიებს აფრიკაში მინიჭებდა, მაგრამ ჰელგოლანდი კი დღემდე შენარჩუნებული გვაქვს. საერთაშორისო ომმა დაამტკიცა, რომ 1890 წლის მომხდარი შეთანხმება ძლიერ ხელსაყრელი იყო. დამახასიათებელი ის არის, რომ ინგლისური პრესა თხოულობს, თუ რამდენ ზავზე მოლაპარაკება გაიმართა, ჰელგოლანდი უსათუოდ ინგლისს უნდა დაუბრუნდესო.

ქალაქის არჩევნები

მიმდინარე წლის დეკემბერში მოხდება ქალაქის ხმოსანთა არჩევნები. ხმის უფლება ეძლევა იმ მოქალაქეთ, რომელთა ქონება შეეფასებოთ არა ნაკლებია 1500 მანეთისა. ის ცენზიანები, რომლებიც სარგებლობენ ხმის უფლებით, ვალდებული არიან იელისის ბოლო რიცხვამდე შეიტანონ ქალაქში „ნედლომეტი“, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჰკარგავენ ხმის მიცემის უფლებას დეკემბრის არჩევნებზე. წარსულ (1911—1915) წლების არჩევნების დროს მთელი ქალაქი დაყოფილი იყო შვიდ საარჩევნო უბნად. წესს კი ქართული გაზეთები ერთხმად მოითხოვენ ქალაქის თორმეტ საარჩევნო უბნად დაყოფას, მსგავსად ქალაქის ადმინისტრაციულ საპოლიციო ნაწილებისა. არსებობს წრე, რომელიც მუშაობს ამ საკითხის შესახებ. ქალაქის გამგეობაში წარდგენილია სია მომავალ არჩევნების დროს ხმის მქონე მოქალაქეთა. საერთო რიცხვი ასეთებისა წარსულ არჩევნებზე უდრდა 7000-ს. დაწერილებითი ცნობები ჩვენს რედაქციაში მიიღება.

რეანი სპორაკა

ქიათურა. ამ დღეებში აქ აღათია ოქროპირის ასულმა ღვანდისამ ოთხჯერ დაიცა კისერში დანა და თავი მოიკლა. მიზეზი შედეგი ყოფილა. ვილაცას ქიათურის სასამართლოს ბოქალური ბურჯანაძე მიუყვანია მასთან. ბოქალის აღმასრულებელი ფურცლის ძალით აღათია ღვანდისა ოთხი მკორე წლოვანი ბავშვებითა და ხაბაყებით სახლიდან გამოუდგია და ამას აუტულებია იგი თავი მოეკლა. ქმარი მიღამ ლოთობდა და ოჯახს ყურადღებას არ აქცევდა; თავის მხრით ქალიც მეძობას ეწეოდა თურმე.

გულიმელი.

ყვირილა. აქ უკვე აღძრეს შუამდგომლობა, რომ ნება დართონ საამხანაგო დუქნის „ერთობის“ გახსნისა.

აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების დაარსების შესახებ.

აქ ამ ზღვრულში თითქმის სისტემატიურად კვირაში ერთხელ მინც ვაიმართება ქართული წარმოდგენა, რისთვისაც დაარსდა დასი, რომელშიაც მოწაწილეობენ მსახიობნი: ქ. ბ. მარო მღვინი, ბ. ბ. ყალბაგეიშვილი, ვასო არაბიძე, ვასო ურუშაძე, ბარველი, სანდალიძე და ადგილობრივი სცენის მოყვარენი: ქ. ბ. კ. რუხაძე, ბ. ბ. ნ. ასათიანი, არჩ. არაბიძე და სხვები. წარმოდგენები ვაიმართება საზოგადო საკრებულოს დარბაზში, მაგრამ ეს დარბაზი ისე მოუხერხებელია წარმოდგენებისათვის, რომ საქართველო სხვა შენობა მოიძებნოს. ჩემის აზრით ყველაზე უკეთესია, რომ გადაწვარ ადგილობრივ თეატრის დარბაზში შეაყვინდნენ, დახურავდნენ და შიგ მოაწყობდნენ წარმოდგენების მართვას. ადგილობრივი წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების განყოფილებას ამ დროებით თეატრისათვის სამი ათას მანეთამდე აქვს და საქართველო ეხლავე შეუდგებოდნენ საქმეს. ლაპარაკობენ, რომ მასალა ძვირია და ამიტომ როცა გაიადფება, მაშინ შეეუდგებით თეატრის შენებასო, თუმცა არ იციან ამ ბატონებმა, რომ თეატრის აშენება ამ მოკლე ხანში უფრო იადვად დაუფლებათ. სჯობია ცოტა უფრო ძვირი დაუდეს და ეხლავე გადასწყდეს თეატრის შენობის საკითხი, ვიდრე იადვად დაჯდომას ელოდნენ.

ავერ საცა ჩატყდება სრულებით ის ერთად-ერთი ხიდი, რომელიც აერთებს გაღმა-გამორმა ყვირილას, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. საქართველო შეეუდგეს იგი, ან უკვე დაწყებული მეორე ხიდი დამთავრდეს, თორემ მალე მცხოვრებნი სრულებით უხილოდ დარჩებიან.

სოფ. საქართველო (შორაპნის მახრა).

12 ამ თვეს, პარასკევს საღამოთი, ადგილობრივ ვაჭარს მიდინარაქეს ბოროტ-გამზარხველებმა, გამოსყიდვის მიზნით, 14 წლის ვაჭი მოსტაცეს. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ადგილობრივ ხარაგაულის ნაწილის ბოქალეს ესაძეს, რომელმაც ენერგიული ზომები მიიღო, რამდენიმე დღის შემდეგ ბავში მონახა და პატრონს დაუბრუნა, ხოლო გამტაცებლები, ერთის გარდა, და ყველა ამ საქმეში მონაწილენი შეიპყრო და ციხეში გაგზავნა. ბრალმძღვლის ამხანაგი პოპოვი და გამომძიებელი გორგაძე ადგილობრივ იყვნენ საქმის გამოსარკვევად. სამწუხაროა, რომ ამგვარმა შანტაჟმა სოფელშიაც მოიკილა ფეხი.

გურულ-მეგრელი.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო ზანზიბარული

გახეუთის რეინის გმრს მიმოსვლა

(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლ-უმიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთლ-უკახეთ.	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	21 „ 15 „ „
საგარჯოლან	11 „ 58 „ „
ბაღდაურიდან	12 „ 56 „ „
მელაიანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „ „

კარდნახიდან	4 „ 12 „ „
წითლ-წყალბა	4 „ 44 „ „
გურჯაანიდან	8 ს. 42 წ. საღ.
ვაჩანაძიანიდან	4 „ 33 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

თბილისისკენ მოდის:

წითლ-წყალბა	8 ს. 53 წ. დილ.
კარდნახიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაიანიდან	11 „ 39 „ „
ბაღდაურიდან	12 „ 59 „ „
საგარჯოლან	2 „ 80 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან	3 „ 55 „ „
ნავთლ-უკახეთ	4 „ 58 „ „
ნავთლ-უმიერ-კავ.	5 „ 13 „ „
თბილისში	5 „ 28 „ „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8 ს. 54 წ. დილ.
ვაჩანაძიანიდან	9 „ 25 „ „
გურჯაანში	10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რეინის გმრს მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოიდან	12 ს. 54 წ. დილ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოიდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დილ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დილ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დილ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი ავთიუმი

პროვიზორის ანგვლიანიანსა. 25-18

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЕЧЬ“).
 ი. ლ. კიქნაძისა.
 თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
 გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვყიდვით ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადო, საერო, საქარხნო, სასკოლო, საბავშვო და სხ.
 განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქარეობიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილი ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—16)

ქეხილეთა ამხანაგობა
„მ ა რ თ ლ ი“
 „ქართლის“ კოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იადვად.

თავის ბრავალი
ამ. კეგელიძე
 პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
 კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
 ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვიტი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირთის ხიზილადა, მკორე მარილიანი, შავი „მეზონი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ს ა მ შ ე ბ ლ ი“
 (გამოდის ქუთაისში)
 ყოველ კვირული სურათებიანი დამატებით
გ ა ზ ი თ ი ლ ი რ ს:
 ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშებლო“. ესთხოვთ ომში დაქრითა და მიკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვწოდონ. წიგნები დაი სურათები.
 რედაქტორი ი. ცინცაძე.

მსწრაფ-მეტყველი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5. ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

ქართლო. (გრძობა აქტივობის ფაილით ხელში) მსურს განუწყვეტლად მენ გიმზირო, შეერთი ვსტკებოლდე, იმერო. (მუხლს მოუყრის) გაგვასამართლე, დელოფალო, და მსჯავარი დაგვდე, ფარდა. (შემდეგი იქნება)